საქართველოს იუსტიციის მინისტრის

ბრძანება №687
2021 წლის 11 თებერვალი

ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის 28 ნოემბრის №462 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის 28 ნოემბრის №462 ბრძანებით (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 28.11.2019, სარეგისტრაციო კოდი: 040030000.22.027.016959) დამტკიცებული დებულების მე-17 მუხლის მე-3 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ბ^{1}“ ქვეპუნქტი:

„ბ^{1}) საქართველოდან გასვლის ვალდებულების გადავადების შესახებ გადაწყვეტილების მიღება.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2021 წლის 17 თებერვლიდან.

საქართველოს იუსტიციის მინისტრი **გოჩა ლორთქიფანიძე**